



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უზღუდის მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

25/03/2024



MES 1 24 0000351344

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „მთის ლიდერი“ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, მესტიის სათხილამურო კურორტზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათი მიმდებარე კლდოვან მასივებზე პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ ტურიზმის სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მთის ლიდერი /01854/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, მესტიის სათხილამურო კურორტზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათი მიმდებარე კლდოვან მასივებზე (დანართი).
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 25 მარტის №348867 ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარაიშვილი მარიკა

მ. ზაქარაიშვილი



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01854	მთის ლიდერი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	4	ქართული	24	მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები, მესტიის სათხილამურო კურორტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები